

აღქმის ილუზია - Perceptual illusion - Перцептивная иллюзия

(ლათ. in შიგ + ludere თამაში → illudere დაცინვა, გაპამპულავენა


→ illusio დაცინვა)

აღქმის ცდომილება, მოჩვენებითობა, მცდარი აღქმა, არაადეკვატური აღქმა.

ყველაზე გავრცელებულია მხედველობის ი-ები ანუ ოპტიკური ი-ები. მაგ.:



I. ცელნერის ი – ამგვარ ფონზე

თეთრი ზოლები გამრუდებული გვეჩვენება, თუმცა ისინი სწორია:




II. ფერის ი – ერთიდაიგივე ლურჯი

(რუხი) ფიგურა შავ ფონზე უფრო ბაცი ჩანს, ვიდრე თეთრ ფონზე:




III. ებინგჰაუსის ი – შუამდებარე

წრეები ტოლია, თუმცა მარჯვენა უფრო დიდი გვეჩვენება:




IV. მიულერ-ლაიერის ი – ზედა მონაკვეთი

უფრო გრძელი გვეჩვენება, ვიდრე ქვედა, თუმცა ისინი ტოლია:




V. პორიზონტულ-ვერტიკალური ი – ვერტიკალური

მონაკვეთი უფრო გრძელი გვეჩვენება, ვიდრე პორიზონტული, თუმცა ისინი ტოლია:



VI. პონცოს ი – მარცხენა ვერტიკალური მონაკვეთი

უფრო გრძელი გვეჩვენება, ვიდრე მარჯვენა, თუმცა ისინი ტოლია:



VII. მთვარის ილუზია – მთვარე ჰორიზონტთან უფრო დიდი ჩანს, ვიდრე ზენიტში.

VIII. მირაჟი – უდაბნოში ცისკიდურთან ახლოს არარსებული ხეების, სახლების, მდინარის მოჩვენება.

ეს **O**-ები **სიმულტანურია** (ერთდროული ანუ მყისთანადი). შეიძლება მათი გამოწვევა აგრეთვე **სუქცესიური** (თანმიმდევრული) აღქმისას. მაგ.,

I: ცდისპირს ხანმოკლე დროით ხუთჯერ (ან ზედიზედ 20 წამის განმავლობაში) ვაჩვენებთ მხოლოდ ფონს, შემდეგ კი – მხოლოდ პარალელურ მონაკვეთებს; ცდისპირს ისინი გამრუდებული ეჩვენება; ამასთან, ცოტა ხნის შემდეგ **O** ქრება – მონაკვეთები სწორდება [ზ. ხოჯავა, მ. სურგულაძე].

ასევე შეიძლება პირიქითაც – დ. უზნაძისეული **სუქცესიური O-ების** გადაკეთება **სიმულტანურ O-ებად** [იხ. **ფიქსირებული განწყობის სიმულტანური ილუზიები**].

IX. ინდუსტრიკული მოძრაობა – უძრავი ობიექტის (ზოგჯერ – თვით დამკვირვებლის) მოჩვენებითი მოძრაობა მისი გარემომცველი ფონის მოძრაობისას საპირისპირო მხარეს (ძალიან ცხადად თავს იჩენს, მაგ., მატარებელში; ასევე, მოძრავი ღრუბლების ფონზე მთვარე რომ მოძრავი გვეჩვენება, ხოლო ღრუბლები – უძრავი).

O-ები სხვა მოდალობაში – კუნთური, **ჰაპტური**:

X. შარპანტიმის ილუზია – დიდი ჩანთა ცარიელია; მისი აწვეისას გვიჩნდება უჩვეულო სიმჩატის განცდა, ჩანთა თითქოს „აფრინდება“; პირიქითაც: ძალიან პატარა ჩანთა ქვებითაა გამოტენილი; მისი აწვეისას გვიჩნდება ძლიერი სიმძიმის განცდა, ჩანთა თითქოს „ძირზეა მიწებებული“; ეს პატარა ჩანთა ქვებიანად რომ დიდ ჩანთაში ჩავდოთ, მას ჩვეულებრივად ავწევთ.

ყველა განხილული **O-ის** ზოგადი მიზეზია აღქმის **გეშტალტურობა** და, შესაბამისად, მთლიანი ხატის ზემოქმედება ნაწილებზე და ცალკეულ თვისებებზე (და არა პირიქით – მთლიანობა ნაწილების შეჯამებით არ მიიღება). უფრო კონკრეტულად კი: **I, II, III-ში კონტრასტია**: ფონი კონტრასტულად ცვლის ფიგურას, მაგ., დიდების ფონზე პატარა კიდევ უფრო პატარად გვეჩვენება (ასევეა **ობტიკური მოდალობის დ. უზნაძისეულ კლასიკურ**

ცდებშიც: დიდის შემდეგ პატარა კიდევ უფრო პატარა გვეჩვენება). ასევე ფიგურა-ფონის გეშტალტური ურთიერთხემოქმედებით აიხსნება **IX**.

IV-ში ხდება ბრტყელი გამოსახულებიდან სივრცითი ხატების ჩამოყალიბება – მონაკვეთები აღიქმება სივრცული ფიგურების წიბოებად და დიდი ფიგურის წიბო **ასიმილაციურად** უფრო დიდი გვეჩვენება, ვიდრე პატარა ფიგურის წიბო. ასევე **V, VI, VII**-ში **O**-ის მიზეზია ბრტყელი გამოსახულებიდან სივრცითი ხატების ჩამოყალიბებისა და პერსპექტივის აღქმის **დისპოზიციურ პერცეპტულ განწყობათა** კანონზომიერებანი (ანუ გამოცდილება იწვევს შეცდომას). ხოლო **VIII**-ს, მირაჟის მიზეზებია ფიზიკური ოპტიკის მოვლენები და აგრეთვე ადამიანების **სიტუაციური განწყობა**, რომელშიც ძლიერი სურვილი, **მოთხოვნილებაა** მთავარი **მდგენელი** (საზოგადოდ, გაურკვეველ, ბუნდოვან ვითარებებში სუბიექტის მოთხოვნილება ხდება გაბატონებული – ის., მაგ., **რორშახის ტესტი**). თუმცა **I-VII O**-ების საბოლოო მიზეზიც განწყობის მოქმედებაა, რადგან თვით **გეშტალტიზაცია** შესაბამისი განწყობითაა აღძრული და წარმართული.

X, შარპანტიეს **O** მხოლოდ და უშუალოდ დ. უხნაძისეული განწყობის კანონზომიერებებით აიხსნება – ექსპერიმენტულადაა დამტკიცებული, რომ **O**-ის მიზეზი არაა „გაცრუებული მოლოდინი“, ან სხვა რომელიმე **ცნობიერი** მოვლენა [ის. **გაცრუებული მოლოდინის თეორია**]. ასევეა: მძიმე ტვირთის შემდეგ საშუალო წონის აბგა უჩვეულოდ გვემჩატება, ხოლო მჩატე ნივთების შემდეგ – უჩვეულოდ გვემძიმება; ყინვიდან ცივ ოთახში შესვლისას ოთახი თბილი გვეჩვენება, ხოლო პაპანაქების შემდეგ თბილი ოთახი გრილი გვეჩვენება (ეკლავ კონტრასტი).

ფიზიკურ-ფიზიოლოგიური მოვლენებით და **უორიენტირო ველში ფიგურაციის** დარღვევით აიხსნება:

XI. ავტოკინეტიკური ილუზია – მოძრაობის **O**: უძრავი სინათლის წყაროს ქაოსური გადაადგილების აღქმა, რაც თავს იჩენს სრულ სიბნელეში (ამიტომ ასეთ შთაბეჭდილებებს არ უნდა ვენდოთ!).

O-ების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს **განწყობის თეორიისთვის**. აღქმის როგორც თანდაყოლილი, ისე შექმნილი მაყალიბებელი განწყობანი ბუნებრივადაა ისეთი, რომ ისინი თითქმის ყოველთვის მეტ-ნაკლებად მაინც

ზუსტია და შესაბამისია ვითარებისა; მაგრამ იშვიათი გამონაკლისები (0-ები) ძალიან არსებითია იმ მხრივ, რომ უეჭველად გვიდასტურებს აღქმის ფსიქოლოგიურ ბუნებას, მის ფარდობითობას, სუბიექტურობას, დამოკიდებულობას ინდივიდის შინაგან მაყალიბებელ განწყობებზე. ზოგჯერ აღქმულის კატეგორიზაცია ანუ აღქმის ხატის რაობა მთლიანად განწყობაზეა დამოკიდებული, მაგ.: ადამიანს ამოსაცნობად ოცჯერ უჩვენებენ სხვადასხვა ცხოველების სურათებს, ოცდამეერთეჯერ კი უჩვენებენ მიწაზე დაგდებული ქამრის სურათს; ადამიანს ქამარი გველად ეჩვენება; პირიქით, თუკი ადამიანს ოცჯერ უჩვენებენ სხვადასხვა სამოსის სურათებს, ოცდამეერთედ ნაჩვენები გველის სურათს ის ქამრის სურათად აღიქვამს [ნ. ელიავა, ე. გერსამია].

უკვე ძველ საბერძნეთში შენიშნეს ის 0, რომ წყალში ჩაყოფილი ჯოხი გადატეხილი გვეჩვენება (ეს წმინდად ფიზიკურ-ობიექტური მოვლენაა). და რაკი აღქმა სანდო არ ყოფილა, მოაზროვნებმა დაიწყეს აზროვნების სანდო კანონების ძიება. სწორედ ეს იყო **ლოგიკისა** და საზოგადოდ **ფილოსოფიის** წარმოშობის ერთერთი მიზეზი.

საზოგადოდ, აღქმისეული დონის გადალახვა **აზროვნების** მიერ – ერთერთი უმთავრესი კანონზომიერებაა **ფილო-ონტო-კულტურგენეზისურ** განვითარებაში [იხ. **აზროვნების განვითარების ძირითადი კანონზომიერება**].

აღქმის განწყობისეული მოქმედების მთავარი კანონზომიერებაა მისი **ასიმილაციური** მოქმედება, ანუ გეშტალტიზაცია იმ მიმართულებით, როგორი ნიმუშებიც უკვე მოიპოვება გამოცდილება-**მეხსიერებაში** ან თანდაყოლილ-**ინსტინქტურ** მარაგში. ამიტომ თავისთავად ხდება აღქმულის „შელამაზება“, მის ნაკლოვანებათა „გამოსწორება“ და ხარვეზების შევსება. მაგ., ერთ

ექსპერიმენტში [ი. ბუალავა] ცდისპირს სიბნელეში

მყისიერად გაუნათებენ წვერწაცლილ მაღალ


სამკუთხედს; განათების შემდეგ, თვალის

ფიზიოლოგიური თვისებების გამო, ყოველთვის

თავისთავად ჩნდება 1-2-წამიანი მხედველობითი კვალი;

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ექსპერიმენტში თავდაპირველი

კვალი კი ისეთივე ჩნდება, როგორიც იყო გამოსახულება – წვერწაცლილი, მაგრამ მაშინვე იწყება მისი შევსება: სამკუთხედის გამოსახულების ფერდები ამოძრავდება და წვეროსთან შეიკვრება, შექმნის რა სამკუთხედის წესიერ გეშტალტს. ეს ცდისპირის უნებურად ხდება, მხოლოდ განწყობისეულად,



ცდისპირი აშკარად ხედავს, თუ როგორ ივსება კვალი!

გემტალტიზაცია სმენით (აკუსტიკურ-ფონეტიკურ) 0-ებსაც იწვევს, მაგ.:

XII. მეტყველების განაწილების ილუზია – ბუნებრივი ქართული მეტყველების მოსმენისას ქართულის უცოდინარი ადამიანი ხშირად სხვაგან ავლებს სიტყვებს შორის საზღვრებს – არა იქ, სადაც საჭიროა. მთავარი კი ისაა, რომ, ფიზიკურ-ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, იგი მართალიცაა – ხმისჩამწერი ხელსაწყოც იქ მიჯნავს სიტყვებს, რადგან ბუნებრივი მეტყველების პაუზები და მახვილები ზოგჯერ არ ემთხვევა სიტყვებს შორის საზღვრებს. მაგ., ბუნებრივ სწრაფ მეტყველებაში სინამდვილეში ისმის ასე:

„კაცმარომთქვას, ასე გასახანგრძლი ვებელი არიყო ესმოლაპა რაკება“.

მაგრამ ქართულის მცოდნე მაინც იქ მიჯნავს, სადაც „საჭიროა“ – მას „ილუზია“ მოსდის: მისი სმენა, გემტალტიზაციის დროს, მიუხედავად შეგრძნებულისა, მაინც აზრიან სიტყვებს, გემტალტებს გამოკვეთს. ქართული მეტყველების მოსმენისას ქართულის ენის მცოდნეს სხვაგვარი სმენითი 0-ებიც მოსდის – განსხვავებით არაქართველისგან, რომლის შთაბეჭდილება ხმისჩამწერი ხელსაწყოს ჩვენებას ემთხვევა – სხვაგან ესმის აზრობრივი მახვილი [ა. ალხაზიშვილი]. ესე იგი ენის არმცოდნე ისევე მექანიკურად ახდენს გემტალტიზაციას, როგორც ხელსაწყო, ენის მცოდნე კი წესიერ დასრულებულ ერთეულებს აღიქვამს, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა მექანიკურებს. ასევე, ზოგიერთი ფსიქიკური აშლილობისას ავადმყოფს არ მოსდის ის მხედველობითი 0-ები, რომლებიც ჩვეულებრივ მოგვდის ჩვენ [ი. ბუაღაია]. ავადმყოფი ზუსტად ანუ მექანიკურად ხედავს და ეს ნორმალური გემტალტიზაციის დარღვევის გამო ხდება.

ამავე კანონზომიერებას გვიჩვენებს კროსკულტურული კვლევებიც. აღმოჩნდა [უ. რივერსი, ვ. სტიუარტი, დ. კემპბელი], რომ თანამედროვე ქალაქში მცხოვრებს გაცილებით ძლიერად აქვს 0-ები მართკუთხა ფორმებზე, ვიდრე მრგვალ ფორმებზე; ხოლო აფრიკის ველზე, მომრგვალო ქოხებში მცხოვრებს, რომელსაც მართკუთხა არც ავეჯი უნახავს, არც კედლები, თითქმის არც ფურცლები და არც სხვა ნივთები – პირიქით: უფრო ძლიერი 0-ები მრგვალ ფორმებზე აქვს. ასევე, პერსპექტივის აღქმასთან

დაკავშირებული **O**-ები უფრო ძლიერად გაშლილ ველზე მცხოვრებთ აქვთ, ვიდრე ტყეში მცხოვრებ ტომებს. ესე იგი ადამიანს დიდი გამოცდილება თითქოს „ხელს უშლის“. მაგრამ, სინამდვილეში, ცხადია, ასე არაა. ტყეში მცხოვრებ აფრიკელს ქალაქში **O**-ები კი ნაკლებად მოსდის, მაგრამ, მიუხეველად, ძალიან გაუჭირდება მართკუთხა ფორმებისა და პერსპექტივების მართებულად აღქმა, მანძილების შეფასება და სხვა. ასევე ქალაქში გაზრდილს, მიუხეველად, უჭირს გაშლილ ველზე მანძილებისა და პერსპექტივების შეფასება. მდიდარი გამოცდილება სწრაფ და ადვილ გეშტალტიზაციას განაპირობებს, რაც ძალიან კარგია, მხოლოდ იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში ხდება **O**-ების მიზეზი [იხ. აგრეთვე განწყობა – განწყობის ასიმილაციური მოქმედება; აზროვნების ილუზია; ეთიკური ან ესთეტიკური შეფასების ილუზია].